საქართველოს კანონი

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №13(20), 1999 წელი, მუხ. 52) მე-2 მუხლის:

ა) „პ^{1}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ^{1}) „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37^{11} და 37^{12} მუხლებისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 44^{2}, 44^{3}, 44^{5} და 44^{7}–44^{11} მუხლების შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანოების/სამსახურების მიერ სამართალდამრღვევებისთვის ადმინისტრაციული სახდელების დადების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები/ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები სანქციის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ;“;

ბ) „პ^{1}“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ^{2}“ ქვეპუნქტი:

„პ^{2}) ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (კონტროლისა და რევიზიის აქტი) სანქციის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2023 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

3 ივლისი 2023 წ.

N3459-XIIრს-Xმპ